„მთავარი თემა სამეგრელოში„ საუკეთესო სტატიისთვის და ვებგვერდისთვის პოლონეთმა დააჯილდოვა

გვ. 2

ფოთში რეორგანიზაციის შედეგად 150 ადამიანი სამსახურის გარეშე დარჩა

გვ. 3

„კოლხი დედა„ „პატიმროებიდან„ გათავისუფლდა

გვ. 2

მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 50 თეთრი № 31 13 - 20 ოქტომბერი 2014 წელი\ გამოდის სამშაბათობით

რამდენიმე დევნილი ქვეყნის დატოვებას აპირებს

გვ. 2

კახა კურტანიძე: „კიდევ ერთხელ დავრჩით მოტყუებულები„

„ვუდიმპექსის„ თანამშრომლები ხელფასების მოლოდინში

გვ.3

რამდენად უსაფრთხოა ბაზარში შეძენილი ხორცი და რძის ნაწარმი?!

გვ. 5

ლაშაობა ჩხოროწყუში

გვ. 6

,კოლხი რაინდები„ ისევ ლიდერობენ

გვ. 7

აქ თქვენი რეკლამის და

მცირე განცხადებების ადგილია

„ვუდიმპექსის„ მუშებმა მიზანს მიაღწიეს?!

თათია ლოლუა

ფოთი

ფოთში ხე-ტყის გადამამუშავებელი ფირმა შპს „ვუდიმპექსში“ დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის არსებული კონფლიქტი როგორც ირკვევა საბოლოოდ მოგვარების გზას დაადგა, საქმე იმაში გახლავთ, რომ აღნიშნული საწარმოს მუშებს 4 თვის ხელფასი არ ჰქონდათ აღებული, რამაც მათი პროტესტი გამოიწვია. დაახლოებით ერთი თვის წინ საწარმოს დირექტორი პაატა მიქაძე ტელევიზიის კამერების წინ კი დაპირდა მუშებს, რომ 10 დღის განმავლობაში 1 თვის ხელფასს მაინც მიიღებდნენ, მაგრამ ეს დაპირება მხოლოდ კამერების წინ გაკეთებული სრული სიცრუე აღმოჩნდა, მაგრამ, როგორც იქნა, გარკვეული დროის შემდეგ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის მიღწეულ იქნა გარკვეული შეთანხმება. შეთანხმების შედეგად, საწარმოს დამსაქმებელი აგვისტოს თვის დავალიანებას გადაიხდის ნოემბრის დასაწყისში, ხოლო რაც შეეხება ივნისი-ივლისის დავალიანებას, ნოემბრის ბოლომდე დაიფარება. უხელფასობის გარდა „ვუდიმპექსის" თანამშრომლები კომპანიაში არსებულ სხვა პრობლემებზეც საუბრობენ. როგორც თანამშრომლები ამბობენ ხე-ტყის გადამამუშავებელ ფირმაში არანაირი სამუშაო პირობები არაა შექმნილი. უფრო მეტიც დასაქმებულები არც კი იცნობენ შრომით ხელშეკრულებას, და შესაბამისად არც აქვთ გაფორმებული დამსაქმებელთან.დასაქმებულების უფლებების დასაცავად მშენებელთა და ტყის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის თავმჯდომარე მარინა კურტანიძე და ორგანიზაციის წარმომადგენლები გახლდნენ ჩამოსული. როგორც კურტანიძემ გვითხრა: „ჩემი ფოთში ჩამოსვლის მიზანია მშრომელთა უფლებების გაცნობა და დაცვა ჩვენ სექტორში დასაქმებულთათვის. გავეცანი კომპანია „ვუდიმპექსში“ დასაქმებულთა პრობლემებს. შევხვდით დამსაქმებელსაც. მივაღწიეთ გარკვეულ შეთანხმებას მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით და აღნიშნული სახელფასო დავალიანება მთლიანად მიეცემათ მუშებს". იმავე დღესვე კომპანიაში შეიქმნა პირველადი პროფესიული კავშირების ორგანიზაცია და აირჩიეს პირველადი პროფკავშირის ორგანიზაციის თავმჯდომარეც და პროფკავშირის წევრებთან ერთად დასახეს სამომავლო გეგმები. კურტანიძის თქმით ისინი დასაქმებულების უფლებების დასაცავად ბოლომდე იბრძოლებენ.

როგორც გავარკვიეთ დაპირების მიუხედავად სახელფასო დავალიანება ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ არაა სრულად დაფარული. ნაწილი დასაქმებულისა ჯერ კიდევ ხელფასების მოლოდინშია.

gamomcemeli da direqtori, mTavari redaqtori
inga gvasalia - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

redaqtori
mari javaxia - 579 241 122

სტილისტ-კორექტორი - maia CxeiZe - 591 145 709

დისტრიბუციის სამსახურის უფროსი
inga WiTanava
597 39 19 72
distributori
eka kacia
568845740

კორესპონდენტები:
TaTia lolua (foTi)
598 147 907
giorgi seskuria (zugdidi)
555 14 76 24

gamoqveynebuli masalis Sinaarsi SeiZleba ar emTxveodes redaqciis Tvalsazriss. statiis avtorebi Tavad ageben pasuxs informaciis sizusteze. redaqciaSi audio masalebi inaxeba ori kviris ganmavlobaSi, am vadis gasvlis Semdeg pretenziebi ar miiReba.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲛᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის



ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -1,74 ლარი ღირს, ერთი ევრო - 2,3 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

ᲤᲝᲗᲨᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲗᲐᲗᲘᲐ ᲚᲝᲚᲣᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ფოთის მუნიციპალიტეტში სტრუქტურული და საკადრო რეორგანიზაციის შედეგად ამოქმედდა ახალი თვითმმართველობის კოდექსი, რომლითაც დარეგულირდა რა რაოდენობის საშტატო ერთეული უნდა იყოს ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში. ახალი თვითმმართველობის კანონის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს განესაზღვრა 114 საშტატო ერთეული. აქედან 14 საშტატო ერთეული განესაზღვრა ფოთის საკრებულოს, ხოლო 100 ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიას. დღესდღეობით 9 სამსახურია შექმნილი და ფოთის უმაღლესი თანამდებობის პირები არიან ქალაქის მერი, ვიცე მერი და 2 მოადგილე. რეორგანიზაციის შედეგად გაერთიანდა 3 სამსახური - მშენებლობისა და არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურები და დაერქვა მშენებლობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურის ორგანული განვითარებისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური. მასში შედის ინფრასტურქტურის განვითარების, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და დასუფთავების, ტრანსპორტისა და საზოგადოებრივი მომსახურების, არქიტექტურის, ურბანული განვითარების და ადმინისტრაციული განყოფილებები. შეიქმნა აგრეთვე ახალი - შიდა აუდიტის სამსახური, რის მიხედვითაც განისაზღვრა ორი განყოფილება, ხუთი საშტატო ერთეული სამსახურის უფროსი და ორი განყოფილება ორ-ორი კაცის შემადგენლობით. ერთერთი განყოფილება გახლავთ შიდა მონიტორინგული განყოფილება და ასევე შიდა ინსპექტირების განყოფილება. ამავე დროს სხვადასხვა სამსახურებშიც მოხდა განყოფილებების გადანაცვლება. მაგალითად ადმინისტრაციულ სამსახურს შესყიდვების სამსახურიდან გამოეყო მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება და დღეს ადმინისტრაციულ სამსახურში შედის 6 განყოფილება. ადმინისტრაციულ სამსახურში ადრე იყო კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილება. დღეს ჩამოყალიბდა ცალ-ცალკე განყოფილებები - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, საქმისწარმოების განყოფილება, იურიდიული განყოფილება, საგარეო ურთიერთობათა და პროტოკოლის განყოფილება, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და ახლად დამატებული მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება. აგრეთვე სპორტის სამსახურში გაუქმდა ტურიზმის განყოფილება დ ამ მხრივ იგეგმება სხვა ღონისძიებების გატარება. ტურიზმი გამოეყო სპორტის სამსახურს და შეიქმნა ახალგაზრდული და გენდერული თანასწორობის განყოფილება. კულტურის სამსახური უცვლელად დარჩა განათლებისა და და ძეგლთა დაცვის განყოფილებებით. აქ არის 5 საშტატო ერთეული: სამსახურის უფროსი, განათლებაში განყოფილების უფროსი და მთავარი სპეციალისტი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურში განყოფილების უფროსი და მთავარი სპეციალისტი. ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: გაუქმდა დევნილთა განყოფილება და დარჩა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება. შეიქმნა საფინანსო საბიუჯეტო ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახური, სადაც 3 განყოფილებაა: ეკონომიკური განვითარების საბიუჯეტო დაგეგმისა და სტატისტიკის განყოფილება, საფინანსო ზედამხედველობისა და მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებები. შემცირდა აგრეთვე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის მობილიზაციის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა - სამსახურის უფროსი და 4 მთავარი სპეციალისტი. ჩვენ ვესაუბრეთ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს ზვიად შუბითიძეს ქალაქ ფოთის მერიაში განხორციელებული ცვლილებებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, საბოლოოდ შემცირდა 80 თანამშრომელი, რომელთაც კანონით ეკუთვნოდათ კომპენსაცია და დაერიცხათ კიდეც 2 თვის ხელფასის ოდენობა. მისი თქმითვე, ძირითადი შემცირების "ტალღა" მოვიდა მუნიციპალიტეტებზე, რომელიც ახალი თვითმმართველობის კანონის შესაბამისად გაუქმდა და ახლა გახლავთ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში. „ჩვენთან 4 ადმინისტრაციული ერთეულია: ცენტრის უბნის, კუნძულის უბნის, მალთაყვის უბნის და ნაბადის უბნის ადმინისტრაციული ერთეულები, სადაც დარჩა თითო-თითო თანამშრომელი ანუ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი. მოხდა განყოფილებების სახელცვლილება, მიერთება, ერთი სამსახურიდან მეორეში გადაყვანა, დებულებების შეცვლა. მოკლედ რომ ვთქვა, კონკრეტულ განყოფილებას, რომელიც რაღაც კონკრეტულ საქმიანობას ეწეოდა, ახალი დებულებით უწევს კიდევ სხვა სამუშაოს შესრულება ანუ მოხდა აბსოლიტურად რეორგანიზება, რომელსაც დაექვემდებარა უკლებლივ ყველა განყოფილება გარდა სახანძრო-სამაშველო სამსახურისა, რადგან ეს სამსახური შეიძლება მომავალი წლიდან გადავიდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში. მინდა ვთქვა, რომ ეს შემცირებები არ არის ჩვენი გამოწვეული, ეს არის პარლამენტის მიერ დამტკიცებული და ჩვენთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისთვის გადაწყდა 114 საშტატო ერთეული".

ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲛᲘ ᲤᲝᲗᲨᲘ

ᲗᲐᲗᲘᲐ ᲚᲝᲚᲣᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ფოთის მოსახლეობისთვის დღემდე გაურკვეველია, როდის დამთავრდება 2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული პროექტების მშენებლობები, ან რატომაა ისინი შეჩერებული. 2013 წელს განსახორციელებული პროექტების ფონდიდან დაფინანსებულია სულ 6 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 11, 700 000 ლარს. ეს პროექტებია: - სანიაღვრე კანალიზაციის სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია -რეკონსტრუქცია - 1 000 000 ლარი; - რუსთაველის რკალის და აღმაშენებლის ქუჩის (ტროტუარების) რეაბილიტაცია - 2 500 000 ლარი; - აღმაშენებლის ქუჩის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია (ფასადების შეფუთვა და მანსარდის მოწყობა) - 1 500 000 ლარი; - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების კაპიტალური შეკეთება - 500 000 ლარი; -ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია - 2 500 000 ლარი; - თეატრის მშენებლობა - 3 700 000 ლარი.

ამ პროექტებიდან მხოლოდ 1 პროექტი განხორციელდა და ეს არის თეატრი. ქალაქის მთავარი ტროტუარის რეაბილიტაცია 2013 წლიდან დაიწყო და დღემდე დაუსრულებელია. დაუსრულებელია არა მხოლოდ აღმაშენებლის ქუჩის ტროტუარების რეაბილიტაცია, აგრეთვე შეჩერებულია "კოლხეთის" სტადიონის მშენებლობაც. როგორც გავარკვიეთ, აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ფასადების მშე-

ნებლობის შეჩერების მიზეზი არა თანხები, არამედ სამშენებლო კომპანია გახლავთ, რომელმაც თავი ვერ გაართვა დავალებას. 1 მლნ 398 ათასი ლარია გამოყოფილი ფასადებზე. ღოგორც ჩვენთან საუბარში მერიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ზვიად შუბითიძე ირწმუნება, რომ მიმდინარე მშენებლობები წლის ბოლომდე აუცილებლად დასრულდება. მისი თქმითვე, ფასადების მშენებლობა მიმდინარეობს, მაგრამ გარკვეული ხარვეზები აქვს თვითონ სამშენებლო კომპანიას, მაგრამ პირობას იძლევიან, რომ მალე დასრულდება მშენებლობა. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი მამუკა ყურუა როგორც ამბობს: „ფასადების მშენებლობაში ტენდერით გამარჯვებული ფირმა ვადაში ვერ ჩაეტია, რის შედეგადაც მოხდა მისი დაჯარიმება. მათი პრობლემის მიზეზებს ვერ გეტყვით. მათ დადეს პირობა, რომ გააგრძელებენ სამუშაოს. შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადაიდო წლის ბოლომდე. იმ ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე კი ენიშნებათ ჯარიმა, მაგრამ მაინც აგრძელებენ ამ სამუშაოს შესრულებას. რაც შეეხება სტადიონის მშენებლობას, რომელიც დაწყებული იყო და ისევ შეჩერდა, ამუამად გამოცხადებული ტენდერით წელს გაიმარჯვა შპს „ხიდმა" . ახლა მიმდინარეობს შერჩევა - შეფასება. სახელშეკრულებო თანხა იყო 1 მლნ 70 ათასი. წინა ტენდერით გამარჯვებულ კომპანიას შეუწყდა ხელშეკრულება. მასთან იყო სასამართლო დავაც რის შედეგადაც შეუწყდა ხელშეკრულება და მას თანხაც გადაახდევინეს. მამუკა ყურუას თქმით, ამ ტენდერში გამარჯვებული ფირმა შპს „ხიდი" პირობას დებს, რომ სტადიონი წლის ბოლოს უმაღლესი დონის სტადიონის სახელით იქნება ცნობილი. ამ ფირმას ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაცია წესრიგში აქვს. 6 თვე არის ვადა რა ვადაშიც უნდა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა. სახელშეკრულებო თანხა იყო 1 მლნ 70 ათასი".

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ტროტუარების მშენებლობა, რომელიც თითქმის დამთავრებულია. ბატონი მამუკას თქმითვე: "ჩამოვიდა საყვავილეები. შპს-ს უფროსი აზერბაიჯანელი მოქალაქე წასულია და რამდენიმე დღეში ჩამოიტანს საყვავილეების ახალ პარტიას. ტროტუარებს ფილების დაგება თითქმის დამთავრებულია. 1 მლნ 398 ათასი არის გამოყოფილი ფასადებზე და ქუჩების რეაბილიტაციაზე 1 მლნ 900 ათასი. 2013 წელს რაც გვქონდა გათვალისწინებული ბიუჯეტში თანხა, ყველა უნდა მოხმარდეს ამ პროექტებს და დასრულდეს წლის ბოლოს".

.

,,აიეტის,, მაცხოვრებლებს ბინებში აწვიმთ

ეკა უთმელიძე
ფოთი

ფოთში დევნილთა საცხოვრებლის, ყოფილი სასტუმრო „აიეტის“, რეკონსტრუქცია და მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ახალი 5-სართულიანი კორპუსის მშენებლობა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (ფჯ) დაფინანსებით 2011 წელს დაიწყო. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია შპს „ინდიკო” ასრულებდა. დევნილებს ბინები 2013 წლის ოქტომბერში გადაეცათ და უკვე 1 წელია, ამ შენობაში ცხოვრობენ. როგორც ცნობილია, ბინები მაცხოვრებლებს ე.წ გარანტიით გადაეცათ, ანუ სამშენებლო კომპანიას ერთი წლის განმავლობაში აქვს ვალდებულება, რაიმე ხარვეზის შემთხვევაში, იგი გამოასწოროს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, 7 ნოემბრისთვის მოსახლეობას ხელი უნდა მოეწერა ჩაბარების აქტისთვის, მაგრამ უმრავლესობამ ამაზე უარი განაცხადა, რისი მიზეზიც უხარისხოდ გაკეთებული ოთახები და შენობის სახურავია. დევნილებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ რეკონსტრუქციის დაწყებისთანავე ინტენსიურად ადევნებდნენ თვალყურს სამუშაოს მსვლელობას, რათა ხარისხიანად ყოფილიყო შესრულებული, მაგრამ ძალიან ბევრი დარღვევა იყო და რეკონსტრუქციაც უხარისხოდ მიმდინარეობდა. ისინი შუამავალი კომპანიის დახმარებით მშენებლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდიდნენ კიდეც პერიოდულად ჩამოსულ გერმანელებს, რომლებსაც თავადაც არ მოსწონდათ შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მაგრამ არც ამას გამოუსწორებია სიტუაცია და არც სამშენებლო კომპანია შეცვლილა. “აიეტის” მოსახლეობა აღნიშნავს, რომ შუამავალმა კომპანიებმა ძალიან დიდი დახმარება გაუწიეს მათ და დიდ მადლობას უხდიან ასეთი თანადგომისა და დახმარებისათვის. პერსონალურად კი გამოყვეს ქეთი ციბაძე და საკრებულოს ყოფილი უფროსი დავით ბაბილუა. როგორც დევნილები ამბობენ, არაერთხელ მიმართეს მერიის სამსახურსა და სხვა ინსტანციებს შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით,მაგრამ არსაიდან არავინ გამოხმაურებიათ. დევნილებს “გარემონტებულ” ბინებში უამრავი ხარვეზი და დეფექტი აწუხებთ, მაგრამ ახლა ისინი მხოლოდ სახურავის ხარისხიანად გადახურვას ითხოვენ, რომ წვიმის დროს მაინც წყალი აღარ დადგეს დერეფანსა და ოთახებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ მოაწერენ ხელს ჩაბარების აქტს. კედლები დაობდა, რადგან გარედან შენობა სათანადოდ არ არის შეფუთული. კომისიამ შეამოწმა დაობებული კედლები, მაგრამ მღებავებმა მხოლოდ ზედაპირულად გალესეს და შეღებეს დაობებული ადგილები და სხვა სამუშაოები არავის ჩაუტარებია.



ერთ-ერთი მაცხოვრებელი იზო ჟვანია როგორც გვეუბნება: „გადმოსვლიდან 1 თვეში თითქმის ყველა ბინაში დაზიანდა ონკანები და უმრავლესობამ თავიდან გამოვცვალეთ ყველაფერი. ლიფტი არ მუშაობს, დერეფნებში შუქი არაა, სადაც არის თვითონ მაცხოვრებლებმა გააკეთეს. აივანზე ვერ გახვალ დასაჯდომად, რადგან წვიმის დროს წყალი აქაც დგება, წყალს გასასვლელად დაქანება არ აქვს, კარები უკვე მოიშალა, გაღება-დახურვისას საშინელი ხმა აქვს, იატაკი ამოიბერა, როცა წვიმს მეცხრე სართული საშინელ მდგომარეობაშია და მე-8, მე-7 სართულებზეც კი ჩადის წყალი. წვიმის დროს არა მარტო კედლებიდან, არამედ ფანჯრებიდანაც შემოდის წყალი და სულ ნაჭრებით დავრბივართ. კედლებს ობი აქვს უკვე მოდებული. ფანჯრიდან წყალი დერეფანშიც შემოდის, წვიმის დროს იქ ვერ გახვალ და წყალს ვედროებით ვასხამთ. სანამ სახურავს, როგორც საჭიროა, ისე არ გადახურავენ, ასეთი პრობლემები იქნება. ჩვენ მარტო სახურავის გაკეთებას ვითხოვთ, მეტს არაფერს”.

ნელი მამულიასაც იგივე პრობლემები აწუხებს: „წვიმის დროს საკუჭნაოში ჭერი ჩამოვარდა. საბედნიეროდ სახლში არ ვიმყოფებოდი, თორემ საკუჭნაოს ხშირად ვხმარობ და შესაძლოა, თავზე დამცემოდა. მეზობლებს უნახავთ და ოთახი გასუფთავებული დამახვედრეს. იცოდნენ, რომ მე ვერ შევძლებდი საცხოვრებლის მოწესრიგებას. კარების ჩარჩო დაპრესილი კარდონებით არის გაკეთებული და უკვე ჩამოიშალა, ჩამოტყდა. კედლები დაიბზარა, იატაკი ამოიზნიქა. როცა წვიმს, ფანჯრებიდან წყალი ასხამს. ყველაფერი უხარისხოდაა გაკეთებული. ჩვენ დავრჩით მოტყუებული. მე 84 წლის ქალი ვარ და არავინ არ მყავს გამკეთებელი, ორი შვილი გარდამეცვალა და ერთადერთი ქალიშვილი დამრჩა, რომელიც

გაგრძელება 5-გვ.

უბინაოდ დარჩენილი დევნილების აქციები უშედეგო აღმოჩნდა

ეკა უთმელიძე
ფოთი

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში აღვნიშნეთ,ჩვენ თვალ-ყურს ვადევნებდით დევნილების საკითხს ბინების განაწილებასთან დაკავშირებით. ჩვენ დაგვიკავშირდნენ ის დევნილები, რომლებმაც ფეხით მსვლელობა მოაწყვეს თბილისის მიმართულებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ აქციებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მათ ჩვენთან გააკეთეს კომენტარი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თეა ბელქანიასა და იმ დევნილების საპასუხოდ, რომელებიც არასწორად მიიჩნევდნენ თბილისისკენ ფეხით მსვლელობას. ერთ-ერთი აქციის მონაწილე დევნილი ქალბატონის ლალი ბასილაიას თქმით: „თქვენ გაზეთში დაიწერა სტატია ჩემზე და მანანა მიქაიაზე „დევნილობა - პრობლემა თუ პრივილეგია?!“. არ ვიცი, თქვენ, ან სხვა ვინმე რას თვლით პრივილეგიად. რაც შეეხება თეა ბელქანიას სტატიაში გაკეთებულ განცხადებას „მე ეს დევნილები დღეს არ მომიყვანია, ისინი 20 წელია, ამ ქალაქში ცხოვრობენ“- მინდა, მივმართო თეა ბელქანიას, რომ ის დევნილები, რომლებიც შესახლდნენ ახალ რაიონში აშენებულ ახალ ბინებში, არიან დევნილები და აუცილებლად უნდა მიეღოთ ბინა და ამის წინააღმდეგიც არ ვიყავით. ჩვენ დევნილების მიმართ არანაირი პრეტენზია არ გვქონდა, უბრალოდ, როგორც თეა ბელქანია ამბობს, წინა ხელისუფლებამ შემოიყვანა დევნილები სხვა რეგიონიდან და შემოასახლა ფოთში, იგივე განმეორდა ახლაც. ეს დევნილები ისინი არ არიან, ვინც ფოთში 20 წელია ცხოვრობენ. ამ 280 ოჯახში შესახლდა დევნილების მხოლოდ 20%, რომელიც ფოთში ცხოვრობს კომპაქტურად ჯავახიშვილის ქუჩაზე, 201 ქარხნის ტერიტორიაზე. ისინი ახლა შეასახლეს, ჩვენი აქციების შემდეგ. როცა რაღაცას მივაღწიეთ და ფოთიდან თბილისისკენ მსვლელობა დავიწყეთ, აქციაში მონაწილე რამდენიმე ადამიანს ნამდვილად მისცეს ბინა. ბევრი კითხვა გაგვაჩნია ამ სტატიასთან დაკავშირებით, ეს სტატია გამოქვეყნდა და ჩვენ არანაირად ინფორმირებულნი არ ვიყავით. შემთხვევით გავიგეთ, წავიკითხეთ და აღვშფოთდით. თეა ბელქანია ნამდვილად არ მიმაჩნია ისეთ კომპეტენტურ პირად, რომ ამოწმოს ოჯახები და არკვიოს, ვის რა ეკუთვნის. საერთოდ, მაინტერესებს, არასამთავრობო ორგანიზაცია „ოქროს საწმისი“ ვისი დაფუძნებულია? ან ვინ არის „ვეტერანთა დეპარტამენტი“, „დიოსკური“ და „ჩართულობიდან დემოკრატიამდე“? ვინაა მათი დამფუძნებლები და ქონდათ თუ არა ჩვენს სახლებში “შემოჭრის” უფლება? იგივე შემთხვევა განმეორდა ჩემს სახლში, რაც მანანა მიქაიასთან, რომელზეც თავად გესაუბრებათ. ჩემი რძალი იყო მარტო ბავშვებთან, სიცხიანი და როცა დააკაკუნეს, კარები გაუღია და ისე შემოსულან, არც უკითხავთ, შეიძლებოდა თუ არა. თეა ბელქანია რომ ამბობს, დაბნეულად საუბრობდაო, დაბნეულად კი არ საუბრობდა, სიცხიანი იყო და ვერ გრძნობდა თავს კარგად. თუ ვინმეს რაიმე კითხვა ქონდა, მოსულიყო და ჩემთვის ეკითხა. მე ჩემი სახელის ხსენების უფლება არც თეა ბელქანიასთვის მიმიცია და საერთოდ, არ ვიცი, ვინ არის ეს ქალბატონი და რას წარმოადგენს? რაც შეეხება თეა ბელქანიას ნათქვამს, რომ მანანა მიქაია არ არის ომის ვეტერანი, არ არის ინვალიდი და არც სოციალურად დაუცველი. მანანა მიქაია ცხოვრობს სხვის საკუთრებაში, მისი ძმის ბინაში. დავუშვათ, თეა ბელქანიას ნათქვამის მიხედვით ინვალიდი, ომის ვეტერანი და სოციალურად დაუცველი არ გახლავთ მიქაია, მას როგორც დევნილს, ბინა არ ეკუთვნის? ეს არის ის დასკვნა, რაც ამ კომისიამ დადო? ჩვენ სასამართლოში გვაქვს შეტანილი სარჩელი ყოველივე ამასთან დაკავშირებით.

თუ მას რაიმე კითხვა გააჩნდა ჩვენთან დაკავშირებით, ჩვენ არავის ვემალებოდით, დამალვა რომ გვდომოდა, ფოთიდან თბილისამდე არ წავიდოდით, არც კანცელარიის შენობაში დავიძინებდით. ჩვენ მივდიოდით პრემიერ მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან, რათა ახლანდელ ხელისუფლებას გაეგო, რა ხდება ახლა ფოთში. მე მაინტერესებს, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც შედის იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში და საინიციატივო ჯგუფებში, მათი სრული სახელი და გვარები, რომლებმაც ჩვენს შესახებ დადეს ცრუ ინფორმაციები. მინდა მათ შევხვდე და უპასუხონ ჩემს შეკითხვებს. რაც შეეხება ქალბატონ დარეჯან ცხვიტარიას - იგი ფოთში ქალთა კომიტეტის თავჯდომარის მოადგილეა. მისი ინიციატივა არ ყოფილა, წავსულიყავით ფეხით ან გვეშიმშილა. მთელი ორი თვე, რაც აქციებს ვაწყობდით, ტელევიზიით გამოვდიოდით, მალთაყვაში და ნაბადაში გზა გადავკეტეთ, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მომხდარა. ამის შემდეგ დევნილებმა მოვილაპარაკეთ, რომ მიგვემართა ოპოზიციისთვის, რადგან, როცა ხელისუფლება ყურადღებას არ გაქცევს, უნდა მიმართო ვიღაცას, რომ დააინტერესო ხელისუფლება. თუ ხელისუფლებამ შეძლო რეაგირების მოხდენა ოპოზიციის ჩარევის შემდეგ, მათ მანამდეც შეეძლოთ მოეხდინათ რეაგირება. ჩვენ სანამ ოპოზიციას მივმართავდით, ბევრჯერ ვიყავით თბილისში

გაგრძელება 4-გვ.

ᲣᲑᲘᲜᲐᲝᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲣᲛᲔᲓᲔᲒᲝ ᲐᲚᲓᲝᲩᲜᲓᲐ

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲛᲔ-3 ᲒᲕ.

ჩასულები და მივმართეთ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც წერილობით გვიპასუხა (რისი დამადასტურებელი საბუთიც გვაქვს), რომ მან გადასცა ჩვენი განცხადება დევნილთა სამინისტროს. ჩვენ არ გვინდოდა, ეს განცხადება დევნილთა სამინისტროს გადაცემოდა, გვინდოდა თვითონ მოეხდინა ამაზე რეაგირება. მივმართეთ პრეზიდენტსაც და აქაც იგივე განმეორდა, მანაც ეს განცხადება გადასცა დევნილთა სამინისტროს და მოითხოვა, ამ განცხადების პასუხი გადაეგზავნათ მისთვის. არ ვიცით, ინფორმირებულია თუ არა პრეზიდენტი და მიიღო თუ არა პასუხი, რადგან ჩვენ პრეზიდენტისგან არანაირი ინფორმაცია არ მიგვიღია. შევხვდით პრეზიდენტის წარმომადგენელსაც, რომელმაც გვითხრა, რომ „პრეზიდენტს სურს, რომ გვერდში დაგიდგეთ და დაგეხმაროთ, მაგრამ ეს უფლებამოსილება პრეზიდენტს ჩამორთმეული აქვსო“. დღეს ყველა უფლებამოსილება აქვს ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც საქართველოში წყვეტს აბსოლუტურად ყველაფერს, მაგრამ, რატომღაც, ჩვენი საკითხი დღემდე არ გადაწყვეტილა. ამერიკის საელჩოც საქმის კურსში ჩავაყენეთ, მივმართეთ ყველას აბსოლუტურად. დევნილთა სამინისტროში მივმართეთ მურად აბლოთიასაც, მინისტრის მოადგილეებსაც, მაგრამ ჩვენ ამ ადამიანებისგან ვერ მივიღეთ სწორი ახსნა-განმარტება რა ხდებოდა და რატომ მოხდა ასე სწრაფად ბინების დარიგება ისე, რომ დევნილებმა ამის შესახებ არ იცოდნენ. აბსოლუტურად ყველა ფოთელმა დევნილმა ვიცოდით, რომ მეორე ეტაპი იყო ფოთელი დევნილებისთვის. როგორც თეა ბელქანია ამბობს ამ სტატიაში, „ეს კრიტერიუმები ახალ ხელისუფლებას არ მოუგონია, ეს ყველაფერი ძველმა ხელისუფლებამ მოიგონაო“, მას შეუძლია 2013 წლის 9 აგვისტოს მინისტრის ბრძანება წაიკითხოს, როდესაც ჩვენ უკვე გვყავდა ახალი ხელისუფლება, სადაც მინისტრმა 320-ე ბრძანება მიიღო. ახლა რომ ბინები დარიგდა, ეს არ იყო ძველი ხელისუფლების პროექტი, ეს იყო ახალი ხელისუფლების პროექტი, რაზეც თეა ბელქანია არ ყოფილა ინფორმირებული და ის ცდილობს, ყველაფერი გადააბრალოს ძველ ხელისუფლებას. მე არ მაინტერესებს არც ძველი და არც ახალი ხელისუფლებები, რადგან მე ორივე ხელისუფლება ვაღიარე ხელისუფლებად. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ეს ბინები იყო მათი პროექტი, ძველი ბინები რომ დარიგდა მაშინაც მივმართეთ ხელისუფლებას და აგვიხსნეს, რომ ეს იყო პირველი ეტაპი და ამ ეტაპზე ბინები გადაეცემოდა ყველა კომპაქტურად დასახლებულ პირებს. ნაციონალურ მოძრაობას კი პროექტში ედო, რომ მეორე ეტაპზე ახალ აშენებულ რვა ბინაში (და აშენდა 7 ბინა) უნდა შესახლებულიყო ყველა ფოთელი დევნილი და ამიტომაც ფოთელ დევნილებს საერთოდ არ გასჩენიათ კითხვა, მიიღებდნენ თუ არა ისინი ახალ სახლებში ბინებს და საჭირო იყო თუ არა, რაიმე ქულები ამისთვის. ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა და აზრადაც არ მოგვსვლია რაიმე საბუთები მოგვეგროვებინა. ჩვენ ჩვეულებრივად მივედით, აპლიკაცია გავიარეთ და დარწმუნებულები ვიყავით, რომ ბინებს მივიღებდით, რადგან მეორე ეტაპი იყო ფოთელი დევნილებისთვის განკუთვნილი. იმ დროს, როდესაც აპლიკაციას გადიოდნენ ადამიანები, მაშინ აუცილებლად უნდა ყოფილიყო იქ კრიტერიუმები მითითებული, უნდა ეთქვათ, ბინები ქულების მინიჭების შემდეგ დაგირიგდებათ და ამ კრიტერიუმების მიხედვით მოიტანეთ საბუთებიო. როგორც ისინი აღნიშნავენ, ეს ყველა დევნილმა იცოდაო. ვინ იცოდა?! მანახეთ ფოთში ერთი დევნილი, ვინც ამის შესახებ რაიმე იცოდა, ან თუ იცოდნენ, გამოდის, რომ მათ წრეში მყოფები იყვნენ მხოლოდ ინფორმირებულნი. ჩვენ, ვინც კი აქციაზე ვიყავით, არავინ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ჩვენ რომ ვყოფილიყავით ინფორმირებული, ახლა რატომ დავიწყებდით ქულების მოგროვებას? მე მქონდა იმის საშუალება, რომ დამეგროვებინა ეს ქულები და ფეხით არ მევლო ფოთიდან თბილისამდე. მომივიდა აუდიტის წერილობითი გადაწყვეტილება, რომ დარღვევები იყო, დაირღვა მინისტრის ბრძანება 320-ე ბრძანების მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი, რომელიც ქალბატონმა თეა ბელქანიამ არ იცის და არც მიკვირს, რადგან დეპარტამენტის უფროსმა, მურად აბლოთიამ ჩემგან გაიგო 320-ე ბრძანების მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი თურმე დარღვეული ყოფილა. მაგრამ, როგორც მან განმარტა, ეს ბრძანება მისი დაწერილი იყო და მანვე გააუქმა, თუმცა, ეს ბრძანება დღემდე არსებობს, სადაც წერია, რომ ყველა დევნილი ინფორმირებული უნდა ყოფილიყო წერილობით, სანამ ბინები დარიგდებოდა, რა ქულები დააგროვეს და დაკმაყოფილდებოდა თუ არა ამ ეტაპზე (დადებით და უარყოფით შემთხვევაშიც). ამ ბრძანებიდან გამომდინარე, ადამიანს ქონდა 1 თვე და ნებისმიერ დევნილს შეეძლო გაესაჩივრებინა, თუ ამ ერთი თვის განმავლობაში ის მოიპოვებდა იმ კრიტერიუმებს, რაც საჭირო იყო ბინის მიღებისათვის. ამის შემდეგ მინისტრი უფლებამოსილი იყო გაეუქმებინა გადაწყვეტილება და შეექმნა კომისია, რომელიც გადახედავდა ამ დევნილების მიერ მოპოვებულ კრიტერიუმებს და დაეკმაყოფილებინა ისინი შესაბამისად. მაგრამ გასაჩივრების დრო არავის მოუცია, წერილობითაც არ მოუმართავთ. დღევანდელი ხელისუფლებისგან გამოდის, რომ მინისტრის ბრძანება, რომელიც ბრძანებად არის გამოსული, შეუძლია ნებისმიერმა ადამიანმა დაარღვიოს. აქედან იწყება ყველაფერი, როცა პირველივე დღეს ჩემი უფლებები დაირღვა, ბოლოს როგორ მივაღწევ რაიმეს?! შიმშილობაც გამოვაცხადეთ და თუ თეა ბელქანია გულით შეწუხებული იყო დენილებზე, შეეძლო მას და თუნდაც იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოსულიყვნენ და ეკითხათ, რატომ ვშიმშილობდით. მიუხედავად 6 დღიანი შიმშილობისა, ჩვენ არანაირი პასუხი არ მიგვიღია. რაც შეეხება ჩვენთან ერთად დარეჯან ცხვიტარიას შიმშილობას, როცა ჩვენ ეს ყველაფერი გავიარეთ და არავინ ყურადღება არ მოგვაქცია, მხოლოდ მაშინ მივედით ცხვიტარიასთან და ვთხოვეთ, დაგვდგომოდა გვერდით. ნაციონალური მოძრაობაც და სხვებიც ყველანი ვართ საქართველოს მოქალაქეები და ისინიც რეალურად ვალდებულები არიან რეაგირება მოახდინონ ამ ყველაფერზე, რაზეც რეაგირება არ მოახდინა დღეს ხელისუფლებამ. ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა პოზიცია - ოპოზიციას. მე არ ვარ პოლიტიკოსი, რომ ეს გავარჩიო. ჩვენ უსუფაშვილთანაც ვიყავით, რომელმაც 5 საათი გვალოდინა და არ შეგვხვდა. მივმართეთ მანანა კობახიძესაც, არც მას მოუხდენია რეაგირება, იგივე განმეორდა ზვიად ძიძიგურთანაც. მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ მივმართეთ ოპოზიციას. არ გვაინტერესებს ამას ვინმე პოლიტიკურ სახეს მისცემს თუ არა, მაინტერესებს, რომ ხელისუფლებამ ამაზე რეაგირება მოახდინოს. ეს მართლაც ასე იყო, როდესაც დარეჯან ცხვიტარია დაგვიდგა გვერდით და ჩვენთან ერთად შიმშილობა დაიწყო, მთელი ფოთი „დაფაცურდა“. დარეჯან ცხვიტარია ჩვეულებრივი საქართველოს მოქალაქეა, ის ფოთელია. მე ეკა ბესელიასაც მივმართე, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენთან ერთად თბილისში წამოსვლაზე, რადგან დარეჯან ცხვიტარიას მიმართ ჰქონია პრეტენზიები. როგორც ქალბატონი თეა ბელქანია და მისი მეგობრები ამბობენ, ჩვენ პოლიტიკური სახე მივეცით ამას და მეორე მხრივ ხელისუფლება ყურადღებას არ მაქცევს იმიტომ, რომ თურმე არ მთვლის საქართველოს მოქალაქედ. მაშინ მივმართავ ყველა დიპლომატიურ კორპუსს და მოვითხოვ თავშესაფარს. ეს არის ძალიან დიდი სირცხვილი სახელმწიფოსთვის, რომ 9 სულიანი ოჯახი დატოვებს ქვეყანას. მე ამას გავაკეთებ და ამისი არ შემრცხვება, უნდა შერცხვეს ხელისუფლებას. იმ შემთხვევაში დავბრუნდები, როცა ხელისუფლებისთვის თითოეული მოქალაქე იქნება ფასეული. როდესაც თეა ბელქანია ამბობს სიცრუეს, მე ლალი ბელქანიას 2008 წელს საკუთრებაში გამაჩნდა ბინა, რაშიც შეცდა, რადგან 2008 წელს მე საქართველოში არ ვიმყოფებოდი და არ შემეძლო ბინის გადმოფორმება. რაც შეეხება იმას, რომ 21 წელია ერთსადაიმავე ადგილზე ვცხოვრობ, ამაშიც შეცდა. სოხუმიდან გადმოსვლის შემდეგ, ვცხოვრობდი ხობის ქუჩაზე 3 წელი, როდესაც სახლის მფლობელმა ზური გვასალიამ გაყიდა სახლი, იძულებულები გავხდით გადავსულიყავით ჩემ მამიდაშვილ გოჩა გობეჩიასთან, რომელსაც ახალ ნაყიდი ქონდა ბინა, ეს იყო1996 წელი. მან უსასყიდლოდ შემიშვა ბინაში და ამ მისამართზე ვცხოვრობ 18 წელია და არა 21 წელი. რაც შეეხება იმას, რომ მქონდა ბინა საკუთრებაში, არის სიცრუე. ჯუმბერ წულაია იყო ჩემი ოჯახის ახლობელი და მან მთხოვა, ბინა გამეფორმებინა ჩემ სახელზე, რადგან მაშინ დევნილებზე ბინებს არ აფორმებდნენ. როდესაც გაყიდა მან ეს ბინა, მე ბინის ახალ მფლობელს მაშინვე გადავუფორმე ბინა და ამ ქალბატონმა მაშინვე ამომწერა. თეა ბელქანიას შეეძლო მოსულიყო და ჩემთვის ეკითხა ეს ყველაფერი. თუ ჩემსას იძიებდა, მაშინ გამოეძია ნატო აკიშბაიას ქონებაც, რომელსაც გააჩნდა საკუთრება და ვიღაც ლაშა ესვანჯიაზე გაფორმებული. ჩემი თუ უკვირს, ისიც გამოიძიოს, რომ ნატო აკიშბაიაც ისევ იმ სახლში ცხოვრობს დღესაც.

საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ჩვენთან მანანა მიქაიამაც: „მაინტერესებს, ჰქონდა თუ არა ამ ხალხს უფლება (კომისიას, რომლებიც ზემო ხსენებული არასამთავროებისგან შეიქმნა), ჩემთან შესულიყვნენ სახლში, როდესაც არავინ იყო მოხუცი, 84 წლის დედის გარდა. დედაჩემმა მითხრა – ხმაური გავიგონე და უცებ მომადგა ქალი, რომელიც პლანშეტით იღებდა ყველაფერსო. ამ ხმაურზე მეზობელიც შემოსულა და მისთვის უთქვამთ, მანანას ვეხმარებით ბინის მიღებაშიო. რა უფლებით შემოვიდნენ ჩემთან სახლში, რა საბუთი ქონდათ იმისთვის, რომ მე შევემოწმებინეთ ან მოხუცი რა პასუხს გასცემდათ? მათ იცოდნენ, რომ მე თბილისში ვიყავი წასული. მანამდე ქეთევან ჯობავამ (არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩართულობიდან დემოკრატიამდე) დამირეკა და მითხრა, რომ უნდოდათ ჩვენგან წარმომადგენელი გაგვეგზავნა კრებაზე დასასწრებლად, რათა მოესმინა, რა დასკვნა გააკეთეს სიებთან და ბინების გადაცემასთან დაკავშირებით. როცა ვკითხე, რა ხდებოდა, მიპასუხა, რომ მოკვლევა გააკეთეს და რომ რაღაც დარღვევებს ქონდა ადგილი, მაგრამ მაინტერესებს, ქონდათ თუ არა მათ ჩემთან შემოჭრის უფლება? რაც შეეხება ჩვენს მოთხოვნას, რითაც წავედით თბილისამდე ფეხით, იყო ის, რომ გამოეყოთ კომისია, რომელიც გაარკვევდა, რის საფუძველზე მოხდა ბინების გადანაწილება და ქულების მინიჭება. თუ კომისია გაამართლებდა და ის ადამიანები დაგვიმტკიცებდნენ საბუთებით, რომ მათ ნამდვილად ეკუთნოდათ ბინები, ბოდიშსაც კი მოვიხდიდი საჯაროდ. ადამიანმა, რომელსაც ჩემსავით ნული ქულა ჰქონდა მინიჭებული, მიიღო ერთოთახიანი ბინა და ასეთები მაინტერესებს. ეს რომ ვიკითხე სამინისტროში, მიპასუხეს, რომ მათ გადაამოწმეს ბინების განაწილების შემდეგ და აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანმა მოიპოვა 9 ქულა. თუ შეიძლებოდა ბინების გადაცემის შემდეგ ქულები მოეპოვებინა იმ ვიღაცას, რატომ ლალი ბასილაიას და ან ჩემს მიმართ რატომ არ შეიძლებოდა ასეთი რაღაცის გაკეთება? არ არის ეს დარღვევა? თუ ჩემი ძმის 2 ოთახიანი ბინა იმის საფუძველია, რომ ჩემთვის ბინა არ მოეცათ ამ ეტაპზე, სხვის ძმებს რომ გააჩნიათ ქონება და მილიონები, იმათ რატომღა გადაეცათ ბინები? აი ამის პასუხი მაინტერესებს მთავრობისგან.

დარეჯან ცხვიტარია ამასთან დაკავშირებით მოკლე კომენტარით შემოიფარგლა და გვითხრა, რომ ამ აქციებს არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ ქონია: “მე ვარ ქალთა კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე. ამ ქალბატონების უფლებებს ვიცავდი და როგორ შემეძლო, მათ გვერდით არ დავმგდარიყავი? მე ამით არანაირი დივიდენდების და პოლიტიკური ქულების ჩაწერას არ ვფიქრობდი“.

შეიცვლება თუ არა რამე ამ ქალბატონებთან დაკავშირებით, ჩვენი გაზეთი აუცილებლად გაცნობებთ.

დაცულია თუ არა ბაზრის უსაფრთხოება და ვინ აგებს პასუხს ამაზე?

ეკა უთმელიძე
ფოთი

ფოთის აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის მოუწესრიგებლობა, უსაფრთხოების პრობლემა და გარევაჭრობის საკითხები აქტუალობას არა და არ კარგავს და ჩვენც კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ამ თემას. ქალაქის ეს ადგილი ყველაზე ხალხმრავალი გახლავთ და, შესაბამისად, ყველაზე მეტად აქ უნდა იყოს დაცული უსაფრთხოების წესები. ჩვენ დავინტერესდით, თუ რა მდგომარეობაა დღეს ფოთის ბაზარში ამ მხრივ გავესაუბრეთ შპს "ლუკას" დირექტორს თეა ბელქანიას. როგორც მან გვითხრა: „6 წელია აგრარულ ბაზარს ვხელმძღვანელობ. ამ ხნის განმავლობაში 4 - ჯერ გამოიცვალა ქალაქის ხელმძღვანელობა, მაგრამ ბაზრის უსაფრთხოების საკითხის მოსაგვარებლად დღემდე ვერც ერთმა მთავრობამ ვერ "მოიცალა". ახალმა ხელმძღვანელობამ თუ ობიექტურად არ გადაწყვიტა ის, რომ მერიის შპს - სავაჭრო კომპლექსურმა ცენტრმა - არ უნდა გააკონტროლოს ბაზრის სავალი ნაწილი, მანამდე უსაფრთხოების საკითხის მოგვარება რთულია. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მოვაჭრე არღვევს კანონს, ან მათგან ირღვევა ჩემი, როგორც მოიჯარის, უფლებები. გარევაჭრობას აკონტროლებს მერიის ზემოხსენებული შპს, როცა მოიჯარე გადაიხდის თანხას, უკვე ადგილი დაკანონებული აქვს და იხდის იმ ადგილის მოსაკრებელს. ამჯერად ეს საკითხი შესწავლის პროცესშია და ვიმედოვნებ, რომ დღევანდელი ხელისუფლება მაინც მიიღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას და გარემოვაჭრეებს სავალი გზიდან აუცილებლად თავიანთ მაღაზიებში დააბრუნებენ. ადრინდელ ხელისუფლებასთან უამრავჯერ განვიხილეთ ეს თემები. იყო ვარაუდი, რომ გარევაჭრობის გაუქმება შექმნის უფრო დიდ სოციალურ პრობლემას, რასაც არ ვეთანხმები, რადგან ჩვენ შპს-სთან ერთად ჩამოვიარეთ ბაზრის შიდა პერიმეტრი და ვიცით, რომ აბსოლუტურად ყველა გარემოვაჭრეს აქვს მაღაზია, რომელსაც იყენებს საწყობად. მაღაზია აივნიანია, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ და კანონით გათვალისწინებული, დაპროექტებული 6 მეტრი სავალი ნაწილი ჩვეულებრივად დარჩეს ისე, რომ არც ვინმეს უფლება დაირღვევს უსაფრთხოების სისტემასაც არ შეექმნას რაიმე პრობლემა. ამის საშუალებას გვაძლევს ბაზარი, თვითონ მოვაჭრე, მაგრამ საჭიროებს ობიექტურ მიდგომას. ჩვენ დავიწყეთ ამ საკითხის მოგვარება შპს-სთან ერთად, მაგრამ ვერ მოხერხდა იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ფორმალურად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. მოვაჭრეებთან მქონდა საუბარი და ყველა მოვაჭრე თანახმაა, დაუბრუნდეს თავის ადგილს, თუ კი ზომა ყველასთვის ერთნაირად გატარდება. მაგრამ შპს კანონის დაცვასა და უსაფრთხოების აღდგენაში არ ასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად. მესმის, რომ ახალი ხელისუფლებისთვის მოსვლისთანავე ამ პრობლემის მოკლე ვადაში მოგვარება ცოტა რთულია, რადგან ქალაქში უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი, მაგრამ გადადებაც არ შეიძლება. პორტის შემდეგ აგრალური ბაზარი ყველაზე ხალხმრავალი ადგილია, ამიტომ შპს ვალდებულია კანონმდებლობისა და წესების გათვალისწინებით, მოაგვაროს ეს პრობლემა და გადაწყვიტოს სავალი გზის საკითხი. მერია და მასთან არსებული შპს კანონმდებელი ორგანოა და თავად არ უნდა არღვევდეს კანონს. კანონის თანახმად, გარევაჭრობა იკრძალება, მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევები დღესასწაულების დროს, სადაც მესამე პირი არ უნდა დაზარალდეს და უნდა იყოს უსაფრთხოება დაცული. აქედან გამომდინარე, აქ არ არის საუბარი ერთდღიან ვაჭრობაზე, აქ საუბარია ზოგად პრობლემაზე, რომელიც წლებია ფოთის აგრარულ ბაზარში დგას. ჩვენ ამ თემაზე არაერთხელ გვქონდა შეხვედრა მერიაში ზედამხედველობის სამსახურთან, ვიცემერსაც შევხვდი და ეს საკითხები მათთვის ცნობილია, ვცდილობთ ერთად დავსახოთ პრობლემის გადაჭრის გზები. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ყველას უჭირს შპს-სთვის ფუნქციის შეცვლა, რაც უწესრიგობის გამომწვევი მიზეზი ხდება. მე ღიად ვამბობ და არც არასდროს დამიმალავს - რა ფუნქცია აკისრია ამ შპს-ს, ვერავინ გაარკვია. არცერთ ქალაქში არ არსებობს მერიის სამსახურთან არსებული შპს, რომელიც გარემოვაჭრეებისგან იღებს თანხას. რა თქმა უნდა, შპს აქვს საქმიანობის უფლება, აქვს

წესდება, სადაც ჩვენ ვერ ჩავერევით და, მით უმეტეს, არ გვაქვს უფლება, ხელი შევუშალოთ მათ საქმიანობას. პირიქით, ხელს შევუწყობთ, მაგრამ მათ პირნათლად უნდა შეასრულონ მოვალეობები. ბაზარში უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული და არსებობდეს თავისუფალი შემოსასვლელ-გასასვლელი, რადგან ხალხმრავალი ადგილია და თითოეული ადამიანის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაცია, ქალაქის ხელმძღვანელობა და თავად შპს-ც. ყველამ კარგად იცის, რომ ძალიან ბევრ ბაზარში იყო მსგავსი პრობლემები. გაჩნდა ხანძარი და ამით რიგითი მოიჯარეები დაზარალდნენ. მართალია, ჩვენთან ასეთი რამ არ მომხდარა და შეიძლება ასეთი საშიშროება ჩვენთან არც დადგეს, მაგრამ ჩვენ თავს ვიზღვევთ და ნამდვილად არ გვინდა, რომ ჩვენს უაზრო ჭიდილში, კერძო ბიზნესმენსა და სახელმწიფო სტრუქტურას შორის, ვინმე დაზარალდეს". ბელქანიამ ჩვენთან საუბარში დიდი იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელისუფლება მაინც ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებს და შეისწავლის ამ წლობით გაჭიანურებულ საკითხს.

ჩვენ კომენტარისთვის მივმართეთ მერიის ადმინისტრაციის უფროსს ზვიად შუბითიძეს. როგორც მან გვითხრა: "ზოგადად გარე ვაჭრობა ქმნის პრობლემას, მაგრამ ბაზრის უსაფრთხოებას რამდენად უქმნის პრობლემას, ცოტა გაუგებარია. ეს არის ცალ-ცალკე აღებული კერძო სავაჭრო ობიექტები, რომლებსაც ერთმანეთთან აქვს გარკვეული კონკურენცია და ეს მისაღებიცაა. მათ თავიანთი ბიზნესის კუთხით უნდა გადაწყვიტონ ისე, რომ კანონი არ დაარღვიონ. რაც შეეხება ადმინისტრაციული ზედამხედველობის ფუნქციას, ის აკონტროლებს უნებართვო მიშენებებს. მერიის შპს, რომელიც არსებობს, არის თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ მიწაზე, სადაც ვაჭრობა მიდის ჩვეულებრივ და ამ სავაჭრო ობიექტებიდან ჩვეულებრივ იღებს მოსაკრებელს. ამისთვისაა შპს შექმნილი და თუ რომელიმე იურიდიულ პირს აქვს რაიმე პრეტენზია ამასთან დაკავშირებით, მან უნდა მიმართოს შესაბამის სტრუქტურებს. მერიასთან არსებული შპს კი მოსაკრებელს იღებს ჩვეულებრივ სავაჭრო ობიექტებიდან და არა გარე მოვაჭრეებისგან".

რაც შეეხება შპს-ს მიერ გაგზავნილ წერილს, მერიის ადმინისტრაციის უფროსს ამასთან დაკავშირებით არ ჰქონდა ინფორმაცია.

ზემოთ აღნიშნული მეორე ბაზრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი მალხაზ ცქიტიშვილი ბელქანიასგან განსხვავებით ამბობს, რომ ბაზრის უსაფრთხოებას საფრთხეს "კოლხა 21-ის" დაქვემდებარებაში არსებული მაღაზიები და ამ მაღაზიებიდან გადმოსული ე, წ. "ნავესები" უქმნის. შუბითიძისგან განსხვავებით კი ამბობს, რომ ექვემდებარება მერიას: "ჩვენ ვმუშაობთ ბაზრის უსაფრთხოების თემაზე, სამი თვის წინ ქალაქის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად აიზომა ბაზრის ტერიტორია და შესასვლელები. ამ საკითხებს ქალაქი როგორც გადაწყვეტს, ისე ვიქცევით. ჩვენ ვექვემდებარებით მერიას. ჩვენი მიზანია, პრობლემა მივაწოდოთ მერიას, რომელიც სათანადო ზომებს მიიღებს. რაც შეეხება ბაზრის უსაფრთხოებას, საფრთხეს უქმნის შპს „კოლხა-21" მაღაზიები და მათი ნავესები. დიდი მანქანა ვერ შემოდის მათი მხრიდან ამის გამო. რამდენჯერმე მიიღეს გაფრთხილება მერიისგანაც, რაც არ დააკმაყოფილეს".

ასე ურთიერთბრალდებებისა და შეუთანხმებლობის გამო საკითხის მოგვარება ამდენი წელი ჭიანურდება. ახლა ჯერი ადგილობრივ ახალხელისუფლებაზეა. იმედია, ყველასთვის და განსაკუთრბით ქალაქისა და მომხმარებლებისათვის სასარგებლო დასკვნას გამოიტანს და მალე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აღარ დაგვჭირდება უკვე მერამდენედ დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

„აიეტის„ მაცხოვრებლებს ბინებში აწვიმთ

დასაწყისი მე-3 გვ.

ავადაა, თავისი პრობლემები აწუხებს. არაფრის გაკეთების საშუალება არ მაქვს. თუ აკეთებდნენ, ხარისხიანად გაეკეთებინათ. მე არაფერი მაქვს დასაკარგი, ყველგან წავალ და სიმართლეს ვიტყვი. არც კედლების გალესვას და შედებვას ვითხოვ და არც ჭერის გაკეთებას. ერთადერთი ჩვენი მოთხოვნაა, მთლიანად შენობის შეფუთვა და გადახურვა. ხელს არავინ არ მოვაწერთ მიღება- ჩაბარების აქტს, სანამ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება".

რაც შეეხება "აიეტის" მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებულ 5 სართულიან კორპუსს, იქაც დგას შეფუთვის პრობლემა და წვიმის დროს ფანჯრიდან შესული წყლით რამდენიმე ოჯახი ზარალდება. წყალი დგება სარდაფში და არ არის მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემა, რის გამოც მოსახლეობა ძალიან შეწუხებულია.

ჩვენ შევეცადეთ დავკავშირებოდით სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელობას, მაგრამ ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხეს.

შეასრულებს თუ არა სამშენებლო კომპანია დევნილთა მოთხოვნებს და ნაწილობრივ მაინც გამოასწორებს თუ არა თავის უხარისხოდ შესრულებულ საქმეს, ამას მომავალი გვიჩვენებს. ამ შენობების ნახვაზე კი თავში კომუნისტების დროინდელი ლოზუნგი მიტრიალებს "ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად". ეს ბოლო სიტყვა მაშინაც არ "მუშაობდა".

ფოთელებმა ,,ფაზისობა,, ისევ იზეიმეს...

თათია ლოლუა
ფოთი

ჩვენი ქალაქის ტრადიციული დღესასწაული ,,ფაზისობა“ რამდენიმე წელია გაუქმდა. 9 ნოემბერს 2005 წლიდან მივიწყებული ზეიმი ისევ გაიმართა. ,,ფაზისობისთვის“ მოსამზადებელი სამუშაოები ქალაქის თვითმმართველობამ ოქტომბრის თვეში დაიწყო. 9 ნოემბერს ფოთის მოსახლეობამ საინტერესო სანახაობა იხილა. როგორც თეატრალური წარმოდგენები, ასევე მოსახლეობას საშუალება ქონდა დაეთვალიერებინა ადგილობრივი მხატვრული ნამუშევრები. განსაკუთრებული სანახაობა გახლდათ მდინარე რიონზე, სადაც შემობრძანდა მეფე ჩირაღდნებით და მთელი ამალით ნავებითურთ. საზეიმო ცერემონიალის ავტორები გახლდათ რეჟისორი სამეფო უბნის თეატრის ხელმძღვანელი მერაბ თავაძე და ფოთის აქტიური რეჟისორი დავით მღებრიშვილი.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ანსამბლები და მომღერლები. სპეციალურად ფოთზე დაწერილი სიმღერა, შეასრულეს ნინი წიკლაურმა და სალომე ბაკურაძემ. მთელი დღის განმავლობაში დატვირთული იყო ქალაქის ცენტრი, კონკრეტულად რუსთაველის რკალი, ცენტრალური პარკი და რიონი. დაჯილდოვდნენ ქალაქის ადგილობრივი სპორტსმენები. ,,ფაზისობის დღესასწაულზე” ბევრი სტუმარი სტუმრობდა ქალაქს არამარტო საქართველოდან, არამედ დელეგაციები ისრაელიდანაც. ,,ფაზისობის” დღესასწაულზე იერუსალიმის ქუჩაზე არსებული ძველი სინაგოგა გაიხსნა. ფაზისობის დღე დატვირთული იყო წმინდა ეთნო თემით. მოეწყო გამოფენები, სადაც მონაწილეობა მიიღეს ყველა სამხატვრო სკოლამ.

კალისტრატე ბასილაია - ,,კულაკობიდან,, მეცხოველეობამდე....

თათია ლოლუა
ფოთი

ქალაქი ფოთი გამორჩეულია ცნობილი და კოლორიტი ადამიანებით. ქალაქის აღორძინებაში ბევრი საზოგადო მოღვაწე მონაწილეობდა და ბევრსაც ჰქონდა ამის სურვილი, მაგრამ უმრავლესობა სააშკარაოზე არ გამოდიოდა და არ ჩნდებოდა ხალხის წინაშე. ერთ-ერთი ასეთი ფოთელი, თავის ქალაქზე უზომოდ შეყვარებული და კეთილის მოსურნე ადამიანი გახლდათ კალისტრატე (კაი) ბასილაია, რომელიც ცხოვრობდა მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში. ის 20 წლის იყო, როდესაც კომუნისტურმა რეჟიმმა გააკულაკა და ფოთში ჩამოვიდა. ადრე დაობლებულ კალისტრატეს 5 დედმამიშვილი დარჩა. იგი ერთობ მოსიყვარულე ადამიანი იყო და გამუდმებით ზრუნავდა ყველაზე. ობლობამ დამოუკიდებელ და მშრომელ ადამიანად ჩამოაყალიბა. თავისი დაუღალავი შრომით მოიპოვა საცხოვრებელი ადგილი და შეიქმნა ცხოვრება. წელს ამ მშრომელ და უზომოდ კეთილ ადამიანს 110 წელი შეუსრულდებოდა. ის მეცხოველეობის დიდი მოყვარული იყო. ჰქონდა ფერმა, სადაც უამრავი საქონელი ჰყავდა. დღეს სენაკში (ტყირი) მცხოვრებ ბიზნესმენ ალანიებს (შვილიშვილებს, რომლებიც ადრე ფოთში ცხოვრობდნენ) ჰოლანდიური ძროხების მოვლა-პატრონობა სწორედ რომ ბატონმა კალისტრატემ ასწავლა. ამას გარდა, როგორც ამას მისი უმცროსი შვილი ბადრი ბასილაია გვიყვება, ძალიან სპორტული ადამიანიც გახლდათ და მონაწილეობდა შეჯიბრებებში როგორიცაა ისინდი, ბურთაობა. მას იცნობდნენ როგორც კარგ ცხენოსანს. მისი ცხენებისადმი და ცხოველებისადმი სიყვარულს მოწმობს მისი ფერმა, რომელიც მას ჰქონდა, მაგრამ კომუნისტების რეჟიმის დროს აიძულეს გაეყიდა. მუდამ გულგრილად იყო განწყობილი კომუნისტების მიმართ. არ უყვარდა ეს რეჟიმი. არ იყო ბევრი ლაპარაკის მოყვარული ადამიანი. ყოველთვის ჩუმად, თავისთვის იყო. არავის აწუხებდა, მაგრამ ყველას ეხმარებოდა და გვერდში ედგა. ფოთში ჩამოსული კალისტრატე კომუნისტებმა ისევ აასახლეს და საბოლოოდ დასახლდა ნაბადაში, სადაც შექმნა ოჯახი და 5 შვილი გაზარდა. მისი წვლილი და შრომა მის ოჯახს დღემდე ახსოვს. ბასილაიას შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს ფოთში. ისინი სიხარულით იხსენებენ ბატონ კალისტრატეს და ამაყობენ, რომ ასეთი ღირსეული წინაპარი ჰყავდათ.

მეწარმე ქალთა ფონდის ფორუმი ფოთში

ეკა უთმელიძე
ფოთი

არასამთავრობო ორგანიზაციამ ,, მეწარმე ქალთა ფონდმა“ ფოთში 5- თვიანი პროექტი განახორციელა, რომელშიც მონაწილეობდა 15 ქალბატონი, რომლებმაც ინგლისური, კომპიუტერი, ბუღალტრული აღრიცხვები და საქმისწარმოება უფასოდ შეისწავლეს. ამასთან დაკავშირებით, ფოთის მერიაში გაიმართა ფორუმი თემაზე “უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და დასაქმებულთა უფლებები“, სადაც ქალთა სკოლის მსმენელები დააჯილდოვეს და სერტიფიკატები გადასცეს. ფორუმში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები ,,მეწარმე ქალთა ფონდი“ და მათი ბენეფიციარები, ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (წარმომადგენელი ქუთაისიდან), ქალთა სკოლის მსმენელები. მათ აგრეთვე ისაუბრეს უმუშევრობის პრობლემაზე, დასაქმებულთა სტატისტიკაზე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის როლის განსაზღვრაზე უმუშევრობის პრობლემის დასაძლევად და დასაქმებულთა უფლებებზე საქართველოში. ჩვენ გავესაუბრეთ ,,მეწარმე ქალთა ფონდი“ს პროექტის ასისტენტ ანჟელა ჩიხრაძეს. როგორც მან გვითხრა: ,,მეწარმე ქალთა ფონდი ახორციელებს პროექტს ,,სოციალურად დაუცველ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება დასავლეთ საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც ერთ-ერთი მიმართულება გახლავთ სკოლა საშუალო ასაკის ქალებისათვის, სკოლის ერთგვარი დასახელებაა “ადმინისტრაციული საქმის წარმოება და საქმიანი ეტიკეტის ნორმები”. ამ პროექტის ფარგლებში ქალბატონები უფასოდ სწავლობენ კომპიუტერულ პროგრამებს, ინგლისურ ენას და საქმისწარმოებას. ვფიქრობთ, რომ ეს თანამედროვე შრომის ბაზარზე ეგზომ მნიშვნელოვანია და ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის ერთგვარი მიზანიც ის გახლავთ, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალებს ხელი შევუწყოთ და შემდგომ მოხდეს მათი დასაქმება”.

,,ენერგო-პრო ჯორჯია,,-ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საჯარო განხილვის შესახებ

“ენერგო-პრო ჯორჯია” (ENERGO-PRO Georgia) აცხადებს, რომ ქალაქ ფოთში იგეგმება 35 კვ ძაბვის საჰაერო ხაზის “ნაბადა-წევა”-ს შეცვლა საკაბელო ხაზით - 35 კვ საკაბელო ეგს ტრასის მშენებლობა.

მშენებლობის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2014 წლის 5 დეკემბერს 15 საათზე, ქალაქ ფოთში, კომპანია “ენერგო-პრო ჯორჯია”-ს რეგიონალურ ოფისში - მისამართი: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. 5.

35 კვ ძაბვის საჰაერო ხაზის “ნაბადა-წევა”-ს შეცვლა საკაბელო ხაზით - 35 კვ საკაბელო ეგს ტრასის მშენებლობის “პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

თბილისი, სანდრო ეულის № 1 - სს “ენერგო-პრო ჯორჯია”.

გთხოვთ, წინადადებები და შენიშვნები წერილობით მიაწოდოთ სს “ენერგო-პრო ჯორჯია”-ს განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე:

სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია“
მის: თბილისი, სანდრო ეულის 1.
საკონტაქტო პირი: მარიამ მჭედლიშვილი
577 35 10 55
შპს ,,ჰიდროგრაფიკი“
საკონტაქტო პირი: ოთარ კიშინსკი
+995 (99) 22-04-22
hydrographicltd@gmail.com

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲙᲐᲜᲝᲔ-ᲙᲐᲘᲐᲙᲨᲘ

ᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ

ᲤᲝᲗᲘ

ფოთში გასულ კვირას მდინარე კაპარჭაზე ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშების II ეტაპი კანოე - კაიაკით ნიჩბოსნობაში 200 და 1000მ დისტანციაზე , ასევე საქართველოს პირველობა 2000-2003 წწ. დაბადებულ კანოე-კაიაკით ნიჩბოსანთა შორის- 200 და 500მ დისტანციაზე.
შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს : თბილისის, რუსთავის, მცხეთის, ქუთაისის, დუშეთისა და ფოთის ნაკრებმა გუნდებმა სადაც ფოთელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს;

კაიაკით ნიჩბოსნობა

ერთ ადგილიანი – 200მ. – დიდები
I ადგილი – ქრისტინა მგელაძე
ერთ ადგილიანი – 500მ. – დიდები
I ადგილი მარინა დავითაია
ორ ადგილიანი – 200მ. – დიდები
I ადგილი – ქრისტინა მგელაძე - მარინა დავითაია
ერთ ადგილიანი – 200მ. – პატარები
I ადგილი – ელენე ჩუბინიძე
ერთ ადგილიანი – 500მ. – პატარები
I ადგილი – ელენე ჩუბინიძე
ორ ადგილიანი – 200მ. – პატარები
I ადგილი – ქრისტინა მგელაძე - ელენე ჩუბინიძე
ორ ადგილიანი – 500მ. – პატარები
I ადგილი – ქრისტინა მგელაძე - ელენე ჩუბინიძე
ორ ადგილიანი – 1000მ. – ვაჟები პატარები
I ადგილი – ზაური გუჯაბიძე – გიორგი გოგიჩაიშვილი
ორ ადგილიანი – 200მ. – ვაჟები პატარები
I ადგილი – ზაური გუჯაბიძე – გიორგი გოგიჩაიშვილი
ორ ადგილიანი – 200მ. – ვაჟები დიდები
II ადგილი – დიმიტრი ბოგაჩკოვი – გიორგი ტაბატაძე
ერთ ადგილიანი – 200მ. – ვაჟები პატარები
II ადგილი – გიორგი გოგიჩაიშვილი
ერთ ადგილიანი – 1000მ. – ვაჟები პატარები
III ადგილი – ზაურ გუჯაბიძე

კანოეთ ნიჩბოსნობა – საქართველოს თასი II ეტაპი

1 ადგილიანი კანოე – 1000მ. დისტანცია – დიდები
I ადგილი – მურმან მალანია
II ადგილი – ლევან მალანია
1 ადგილიანი კანოე – 200მ. დისტანცია – დიდები
I ადგილი – მურმან მალანია
II ადგილი – ლევან მალანია

საქართველოს პირველობა – 2000-2003წწ.

ერთადგილიანი – კანოე – 500მ.
I ადგილი – ავთანდილ სტურუა
II ადგილი – გარუშა ხიზანიშვილი
III ადგილი – სერგეი სტურუა
ერთადგილიანი – კანოე – 200მ.
I ადგილი – ავთანდილ სტურუა
II ადგილი – გარუშა ხიზანიშვილი
III ადგილი – სერგეი სტურუა
ერთადგილიანი – კანოე – 500მ. – გოგონები
I ადგილი – ლიდია სულაბერიძე
ერთადგილიანი – კანოე – 200მ. – გოგონები
I ადგილი – ლიდია სულაბერიძე
ორადგილიანი – კანოე – 500მ.
I ადგილი – სერგეი სტურუა – ავთანდილ სტურუა
ორადგილიანი – კანოე – 200მ.
I ადგილი – სერგეი სტურუა – ავთანდილ სტურუა
II ადგილი – მამუკა სულაბერიძე – გარუშა ხიზანიშვილი

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ „ᲨᲝᲢᲝᲙᲐᲜ ᲙᲐᲠᲔᲢᲔ-ᲓᲝᲨᲘ„

რამდენიმე დღის წინ, თბილისის სპორტის სასახლეში „შოტოკან კარატე დო"-ში მსოფლიო თასის გათამაშება გაიმართა, სულ 30 ქვეყნის 800 სპორტსმენი მონაწილეობდა, ფოთიდან 17 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა სპორტსმენებმა. მიღებული შედეგები ასე გამოიყურება: პირველი ადგილი - საბა ცაავა (კატა, 10-11 წელი); ლუკა კობალავა (კუმიტე, 6-7 წელი); ინა ჩხარტიშვილი (კუმიტე, 12-13 წელი -50კგ); ვერიკო ლომია (კუმიტე, +50კგ); გოგა კორტავა (კუმიტე, 16-17 წელი); მესამე ადგილზე გურამ ჯიჯელავა (კუმიტე, 16-17 წელი); გეგა გაბისონია (კატა-კუმიტეში) თეონა სულამანიძე (კატა) გავიდა.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ „ᲯᲘᲣᲓᲝᲨᲘ„

რამდენიმე დღის წინ ზუგდიდში ჭიდაობა ძიუდოში პაატა შამუგიას სახელობის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ 2000-2001 -2002-2003 წლებში დაბადებული მოჭიდავეები, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა ძიუდოისტებმა: პირველი ადგილი ჯაბა თურქიამ დაიკავა (35კგ); მეორე ადგილზე ირაკლი შეყილაძე (38კგ) და ზაზა ჯანჯღავა (30კგ) გავიდნენ; მესამე ადგილის მფლობელები ბექა სანაია (42 კგ), ლუკა აზაროვი (34კგ), ვიტალი ქაქუთია (42კგ), საბა დანელია (42კგ), საბა სირაძე (23კგ) გახდნენ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐ

რამდენიმე დღის წინ,ფოთში მდინარე კაპარჭაზე საქართველოს საშემოდგომო პირად გუნდური პირველობა აკადენიურ ნიჩბოსნობაში ჩატარდა. პირველობა გაიმართა სამ ასაკობრივ ჯგუფში, 2000-2001-2002 და ზევით (პატარები) და 1997-98-99 წლებში (ჭაბუკები) გაცურვები გაიმართა ორ დისტანციაზე 1000მ (პატარები) და 2000მ. (დიდები). სადაც მეორე ადგილი დათო ლაბაძემ და საბა ბერიძემ (2 ადგილიანი 200მ. დისტანცია),ლევან ბირკაიამ (ერთადგილიანი – 200მ. დისტანცია), ზურაბ კინტირაია აკაკი სამუშია (2 ადგილიანი 100მ. დისტანცია) დაიკავა

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲑᲝᲨᲘ„

გასულ კვირას თბილისში ჭიდაობა „სამბოში" საქართველოს პირველობა ჭაბუკებს შორის ჩატარდა, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა სპორტსმენებმა. მესამე ადგილები 50 კილოგრამწონით თენგო გედენიძემ და ოთიკო ოჩიგავამ (60კგ) დაიკავეს.

სასარგებლო რჩევები

პროდუქტების შენახვის წესები

პროდუქტების არასწორმა შენახვამ შეიძლება მათი გაფუჭება და არასასიამოვნო სუნის გაჩენა გამოიწვიოს. გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები, რათა პროდუქტებმა მაქსიმალურად დიდხანს და ჯანმრთელად გაძლონ.

მშრალი პროდუქტები

ბურღულეული, პარკოსნები და სახამებელი უმჯობესია ჰერმეტულად დაცულ კონტეინერებში, მშრალ და ბნელ ადგილას შეინახოთ. იქ ვერანაირი მწერი ვერ შეაღწევს. მაგრამ თავდაცვის მიზნით, კონტეინერის ძირზე შეგიძლიათ პატარა პოლიეთილენის პაკეტით მარილი ან ერთი კბილი ნიორი მოათავსოთ.

ჩაიმ გემო და არომატი რომ არ დაკარგოს, ფაიფურის ან მინის ქილაში მოთავსეთ. ყავაც ასევე მინის ან მეტალის ფორმაში. და აუცილებლად მშრალ ადგილას. ყავის მარცვლები საუკეთესო და ნატურალური არომატიზატორებია, – მოათავსეთ რამდენიმე მარცვალი კარადაში, სადასც უსიამოვნო სუნის გაქრობა გსურთ.

რძის პროდუქტები

მაცივარში არასწორი შენახვის გამო ყველმა გემო რომ არ დაკარგოს, ფეტასა და ბრინზის მაგვარ ყველებს სველი ნაჭერი, ქაღალდი შემოახვიეთ, ხოლო მაგარ ყველები კონტეინერებში მოათავსეთ და შაქრის ერთი კუბი ჩაუდეთ.

რძემ რომ დიდხანს გაძლოს, ადუღებამდე ცოტაოდენი (დაახლოებით 1 ჩაის კოვზი ლიტრ რძეზე) შაქარი ჩაუმატეთ. რძის შესანახად იდეალურია კერამიკული ან ემალირებული ქვაბი, რომელსაც მყარად ეხურება სახურავი.

კარაქი, მაცივარში შენახვამდე, გაუმჭვირვალე ფორმაში უნდა მოათავსოთ.

კვერცხი

გახსოვდეთ, რომ კვერცხი ორ კვირაზე მეტ ხანს არ ინახება. ამიტომ, დიდ მარაგს ნუ გააკეთებთ და ახალ-ახალი მოიხმარეთ.

ხორცი და თევზი

ხორცი, ძეხვი და ცხოველური ცხიმი (კარაქიც კი) სასურველი არაა პოლიეთილენის პაკეტში შეინახოთ. უმჯობესია, იგი ქაღალდში ან კილიტაში («ფოლგაში») შეფუთოთ.

ხილი და ბოსტნეული

ყველაზე მალე მწვანილი ფუჭდება. იერიც ეკარგება და გემოსაც კარგავს. ამიტომ, ახალნაყიდი მწვანილი გარეცხეთ, გააშრეთ და მინის ქილაში მოათავსეთ, სახურავი დააფარეთ და მაცივარში შეინახეთ.

ახალ ხილს უმჯობესია სველი ქაღალდი ან ნაჭერი გადააფაროთ.

ნუ დატოვებთ მოხარშულ ბოსტნეულს იმ წყალში, რომელშიც მოხარშეთ. ბოსტნეული წყლით გაიჟღინთება და გემოს დაკარგავს.

შენახვამდე დაანაწევრეთ ბანანები და ისე შეინახეთ; ასე ერთმანეთს არ გადასცემენ დაზიანებასა და გაფუჭებას.

ლიმონი უფრო დიდხანს შეინარჩუნებს ვიტამინებსა და იერს, თუ წყლიან ფორმაში შეინახავთ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ წყალი ყოველდღე უნდა ცვალოთ.

სხვადასხვა პროდუქტი

ახალმომზადებული სოუსი ყინულის ფორმებში მოათავსეთ და გაყინეთ (განსაკუთრებით ზაფხულში).

გახსნილ კონსერვებს ნუ დატოვებთ თავისავე ფორმაში. გადაიტანეთ მინის ქილაში და მჭიდროდ დაახურეთ სახურავი.

თუ დროჟიანი ცომი მოგრჩათ, ნუ გადააგდებთ, გაყინეთ. თუ რამდენიმე დღეში ისევ აპირებთ ცომის მომზადებას, გაალხვეთ და გამოიყენეთ.

პური უფრო დიდხანს შეინარჩუნებს ვადას, თუ საპურეში ვაშლის ნაჭერს დადებთ.

სანელებლები გაზის ქურასგან მოშორებით, მშრალ და გრილ ადგილას უნდა შეინახოთ.

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 341417,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.